ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

თანამშრომლობის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა

და

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს (CENN) შორის

1 ივლისი, 2022
თბილისი, საქართველო

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი იდება, ერთი მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში, „მერია"), ხოლო, მეორე მხრივ, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს (შემდგომში, „CENN") შორის.

ურთიერთგაგების მემორანდუმი დადებულია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – *სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისათვის* - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან[1] ერთად.

პროექტი მუშაობს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების რვა მუნიციპალიტეტში[2] და უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობას სოციალური სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაში.

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისათვის უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას, მონაწილეობრივი დემოკრატიის პრაქტიკის გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი ინიციატივების ფინანსურ მხარდაჭერას სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

---

[1] კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), ქვემო ქართლის მედია და პირველი ევროპელი.

[2] ქვემო ქართლის რეგიონი - მარნეულის, თეთრიწყაროს, დმანისის, გარდაბნის, ბოლნისის და წალკის მუნიციპალიტეტები; სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები.

CENN
Shaping the Future by Changing Today

მუხლი 2: მემორანდუმი მიზანი

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის მიზანია, გააძლიეროს თანამშრომლობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და CENN-ს შორის დმანისის მუნიციპალიტეტში მონაწილეობრივი დემოკრატიის პრაქტიკის ხელშეწყობისა და ადგილზე სოციალური სერვისების განვითარების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია, დმანისის მუნიციპალიტეტში ხელი შეუწყოს:

1. ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას;
2. მუნიციპალური სოციალური სერვისების შემუშავებისა და მიწოდების, ასევე სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პროცესში, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ჩართულობის გაუმჯობესებას;
3. სოციალური სერვისების გაუმჯობესებას;
4. წყალმომარაგებისა და ჯანდაცვის სერვისებზე მოქალაქეთა წვდომის გაზრდას.

მუხლი 4. პარტნიორებს შორის თანამშრომლობის ხასიათი

მხარეები:

- გაცვლიან ყველა საჭირო ინფორმაციას და მჭიდროდ ითანამშრომლებენ ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად.

მერია:

- უზრუნველყოფს პროექტისთვის რელევანტური საკონტაქტო პირის გამოყოფას;
- უზრუნველყოფს CENN-ის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ორგანიზებულ ტრენინგებში მერიის შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლების დასწრებას/ჩართულობას (პროექტის ფარგლებში ჩატარდება 4 გასვლითი ტრენინგი);
- უზრუნველყოფს 'სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების სამუშაო ჯგუფისთვის' (CSOs/LAs multi-stakeholder partnership) 6 შესაბამისი თანამშრომლის გამოყოფას, რომლებიც ჩაერთვებიან სამუშაო ჯგუფის მუშაობაში;

- უზრუნველყოფს შესაბამისი გამოცდილების მქონე თანამშრომლის გამოყოფას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სასწავლო ვიზიტში ჩეხეთის რესპუბლიკაში;
- გამოხატავს მზაობას განიხილოს პროექტის ფარგლებში შეთავაზებული რეკომენდაციები და, შეძლებისდაგვარად, მოახდინოს მათი გათვალისწინება;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს სოციალური სერვისების განვითარებაზე ორიენტირებულ საპილოტე პროექტებს;
- დაეხმარება CENN-ს პროექტის ბენეფიციარების შესახებ საჭირო ინფორმაციის (ასაკი, სქესი და სხვ.) მოგროვებაში.

CENN:

- უზრუნველყოფს წამყვანი საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტების ჩართულობით მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზებას;
- უზრუნველყოფს 'სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების სამუშაო ჯგუფისათვის' (CSOs/LAs multi-stakeholder partnership) შეხვედრების ფასილიტაციას;
- უზრუნველყოფს ჩეხეთში 1-კვირიანი სასწავლო ვიზიტის ორგანიზებას;
- კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მერიისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ერთობლივად შემუშავებული პილოტური ინიციატივების დაფინანსებას;
- უზრუნველყოფს მერიის წვლილის გაშუქებას პროექტის ფარგლებში პილოტური პროექტის განხორციელების შესახებ გამოქვეყნებულ სხვადასხვა მასალებში (სტატიები, ტელერეპორტაჟები და ა.შ).

მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

მემორანდუმი ამოქმედდება ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2025 წლის 31 დეკემბრამდე.**

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ურთიერთგაგების მემორანდუმი წარმოადგენს სრულ შეთანხმებას მხარეებს შორის.

2. ნებისმიერი ცვლილება ურთიერთგაგების მემორანდუმში ხორციელდება წერილობით ორივე მხარის ხელმოწერით.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)	**დმანისის მუნიციპალიტეტის მერია**
ბეთლემის ქ. #27, 0105, თბილისი, საქართველო	წმინდა ნინოს #41, 1700, დმანისი, საქართველო
ტ: +99532 2751903/04 info@cenn.org	ტ: +9950360222464 dmanisi.mun@dmanisi.gov.ge
სახელი, გვარი: ნანა ჯანაშია	სახელი, გვარი: კობა მურადაშვილი
თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი	თანამდებობა: დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
(ხელმოწერა)	*(ხელმოწერა)*
1 ივლისი, 2022 *(თარიღი)*	1 ივლისი, 2022 *(თარიღი)*